



გაცვლითი პროგრამა ჰამბურგის უნივერსიტეტში (გერმანია)

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს ჰამბურგის უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 4 სტუდენტის შესარჩევად.

ჰამბურგის უნივერსიტეტი ჩრდილოეთ გერმანიის ყველაზე დიდი უნივერსიტეტია, რომელშიც სხვადასხვა დროს სწავლობდა და მოღვაწეობდა ნობელის პრემიის 6 ლაურეატი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მაგისტრატურის სტუდენტებს შემდეგი სასწავლო მიმართულებებიდან:

- საჯარო მმართველობა;
- საჯარო პოლიტიკა;
- პოლიტიკური მეცნიერებები;
- ბიზნესი/ეკონომიკა;
- ჟურნალისტიკა;

გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აქტიური სტატუსის მქონე:

- მაგისტრატურის საფეხურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის I სემესტრით გათვალისწინებული საგნები და დაგროვილი აქვთ შესაბამისი კრედიტები;

გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

- იმ სტუდენტებს, რომლებსაც ერიცხებათ ფინანსური დავალიანება უნივერსიტეტის მიმართ;
- იმ სტუდენტებს, ვის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური სახდელი და დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან არ არის გასული 1 (ერთი) წელი, ან დისციპლინური სახდელი არ არის ვადაზე ადრე მოხსნილი.

გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- პასპორტის ასლი;
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა (დანართი N1-ის შესაბამისად);
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (IELTS - 6.0; TOEFL - 78) ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატი. სერტიფიკატის წარმოდგენისგან თავისუფლებიან ის სტუდენტები, რომელთაც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი აქვთ ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი კურსი და მიღებული აქვთ დადებითი შეფასება;
- ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე, GPA-ის მითითებით);

- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა);

საკონკურსო კომისიის მიერ გაცვლითი პროგრამის კონკურსში სტუდენტების შერჩევის დროს მხედველობაში მიიღება:

- სტუდენტის აკადემიური მოსწრება
- ინგლისურენოვანი საგნების არჩევის გამოცდილება და შესაბამისი შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უფიქსირდება, თუ არა სტუდენტს არაღამაკმაყოფილებელი (F) შეფასება;
- სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე;
- უფიქსირდება, თუ არა სტუდენტს მისი კანდიდატურის განხილვამდე უნივერსიტეტში ანალოგიურ საფეხურზე სწავლის პერიოდში გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, მათ შორის ERASMUS + - ის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა;
- სტუდენტის მოტივაცია, რომელსაც საკონკურსო კომისია ამოწმებს კანდიდატთან გასაუბრების დროს;
- სტუდენტის სამომავლო ხედვა, ფოკუსი და კრიტიკული აზროვნება.

კრედიტების აღიარება: ჰამბურგის უნივერსიტეტში აღებული კრედიტების აღიარება მოხდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში სასურველი საგნების შესარჩევად სტუდენტებმა წინასწარი კონსულტაცია უნდა გაიარონ GIPA-ს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორთან, ხელმძღვანელთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ინგლისურენოვანი საგნების (წინასწარი) ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია ამ [ბმულზე](#)

გერმანიაში სწავლის ხანგრძლივობა:

ერთი სემესტრი (2023 წლის გაზაფხულის სემესტრი: აპრილი - ივლისი)

სწავლის საფასური:

მასპინძელ უნივერსიტეტთან გაფორმებული პარტნიორობის ფარგლებში, 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში GIPA-ს სტუდენტებს არ მოუწევთ გერმანიაში სწავლის საფასურის გადახდა. თუმცა, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის განმავლობაში სტუდენტი არ თავისუფლდება ჯიპა-ში შესაბამისი სემესტრის გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

შენიშვნა: შერჩეულმა სტუდენტებმა თავად უნდა დაფარონ საერთაშორისო მგზავრობის, ცხოვრების, სავიმო მოსაკრებლისა და დამღვევის ხარჯები!

გარდა ამისა, სტუდენტებმა უნდა დაფარონ საზოგადოებრივი გრანსპორტით და ბიბლიოთეკით სარგებლობის საფასური, ე.წ. „semester fee“, რომელსაც ჰამბურგის უნივერსიტეტში იხდის

ყველა სტუდენტი (როგორც გერმანელი, ისე საერთაშორისო) და რომლის ღირებულებაც შეადგენს 263 ევროს.

სასწავლო განრიგის, ჰამბურგში ცხოვრების და ბინის დაქირავების საფასურთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია [მიმაგრებულ ფაილში](#).

დაინტერესებულმა სტუდენტებმა ა/წ 23 სექტემბრის 19:00 საათამდე უნდა გამოაგზავნონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი შემდეგ ელ-ფოსტაზე: n.bakradze@gipa.ge

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის საშუალებით: n.bakradze@gipa.ge ან მითითებულ ნომერზე: 577 57 75 11

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!